



საქართველოს ეროვნული მუზეუმის

აოაგბე

II
(47-B)

თბილისი
2011

საქართველოს ეროვნული მუზეუმის

ბ ლ ე ბ ლ ი

II
(47-B)

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია
გამოდის 1920 წლიდან

Bulletin

of the
Georgian National Museum

II
(47-B)

Series of Social Science
Issued since 1920

თბილისი 2011 Tbilisi

უაკ(УДС) 069(479.22)(051.2)

902+903+737+736.2+39+904+93/94+930.27+7

ს - 323

G - 37

სარედაქციო კოლეგია: დავით ლორთქიფანიძე, ზურაბ თვალჭრელიძე, ნოდარ ბახტაძე, თეიმურაზ ბერიძე, ნანა ბურჯულაძე, იულონ გაგოშიძე, დარეჯან კაჭარავა, გიორგი მარსაგიშვილი, გიორგი მინდორაშვილი, ელდარ ნადირაძე, ზაზა სხირტლაძე, ნოდარ შოშიტაშვილი, მედეა წოწელია, ოთარ ჯაფარიძე

Editorial Board: David Lordkipanidze, Zurab Tvalchrelidze, Nodar Bakhtadze, Teimuraz Beridze, Nana Burchuladze, Iulon Gagoshidze, Darejan Kacharava, Giorgi Marsagishvili, Giorgi Mindorashvili, Eldar Nadiradze, Zaza Skhirtladze, Nodar Shoshitashvili, Medea Tsotselia, Otar Japaridze

სარეცენზიო საბჭო: დიმიტრი ახვლედიანი, რონეება გუჯეჯიანი, რუსულან დოლაბერიძე, თამილა კაპანაძე, დავით ლომიტაშვილი, გიორგი მახარაძე, თემურ შარიქაძე, ნინო ჩიხლაძე, გურამ ჩხაიძე, მინდია ჯალაბაძე

Review Committee: Dimitri Akhvlediani, Rozeta Gujejiani, Rusudan Dolaberidze, Tamila Kapanadze, David Lomitashvili, Giorgi Makharadze, Temur Sharikadze, Nino Chikhladze, Guram Chkhaidze, Mindia Jalabadze

რედაქტორი: ზურაბ თვალჭრელიძე

Editor-in-chief: Zurab Tvalchrelidze

პასუხისმგებელი მდივანი: მედეა წოწელია

Executive secretary: Medea Tsotselia

ISSN 1512-1895

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2011
Georgian National Museum, 2011

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბის წინამდებარე ტომი წარმოადგენს საქართველოს მუზეუმის მოამბის (1920-1935 წწ), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბის (საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია – B, 1936-1944 წწ) და სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბის (საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია – B, 1947-2004 წწ) ტრადიციული, სერიული გამოცემების გაგრძელებას – საზოგადოებრივი მეცნიერების მიმართულებით.

ტომში წარმოდგენილია ნაშრომები ისტორიის, არქეოლოგიის, ნუმიზმატიკის, ეთნოგრაფია/ეთნოლოგიის, ხელოვნების ისტორიისა და ისტორიული ანთროპოლოგიის შესახებ, რომლებშიც ქართული, აგრეთვე კავკასიური კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი საკითხებია განხილული.

ტომს ერთვის საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2011 წლის ქრისტიანობისათვის განხილული.

The present volume of the Bulletin of the Georgian National Museum is continuation of the serial publications of the Bulletin of the Georgian Museum (1920-1935), the Bulletin of the Georgian State Museum (series of social sciences – B, 1936-1944) and the Bulletin of the Simon Janashia Georgian State Museum (series of social sciences – B, 1947-2004).

The volume presents papers dealing with archaeology, numismatics, ethnography/ethnology, history, art history and historic anthropology in which the main aspects of Georgian and also Caucasian cultural heritage are discussed.

The issue is supplied with 2011 chronicle of the Georgian National Museum.

**სარჩევი
CONTENTS**

**არქეოლოგია
Archaeology**

| | |
|--|----|
| თენგიზ მეშველიანი დასავლეთ საქართველოში ნეოლითის წარმოშობის საკითხისათვის | 6 |
| Tengiz Meshveliani On the Problems of Origin of Neolithic in West Georgia | |
| ნანა რეზესიძე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი დმანისის ნაქალაქარიდან..... | 36 |
| Nana Rezesidze A Late Bronze – Early Iron Age Settlement from Dmanisi Site | |
| ნინო ლორთქიფანიძე სატირის „დაკრძალული“ ქანდაკება ვანიდან | 53 |
| Nino Lordkipanidze The so-called “buried” statuette of a Satyr from Vani | |
| ნანა მათიაშვილი მედუზა-გორგონას გამოსახულებიანი მედალიონი დიოსკურიიდან | 69 |
| Nana Matiashvili A Medallion with Medusa-Gorgona Image from Dioscuria | |
| გელა გამყრელიძე რომანიზაციის გლობალისტური პროცესი და იბერია-კოლხეთი (ზოგადი მიმოხილვა)..... | 76 |
| Gela Gamkrelidze Globalistic Process of Romanization and Iberia-Colchis (General review) | |
| Эмиль Искендеров К вопросу о некоторых общих типах погребальных памятников Албании, Иберии и Армении в античное время | 92 |
| Emil Iskenderov Concerning the Issue of Some Common Burial Types in Albania, Iberia and Armenia in the Antique Period | |

| | |
|---|-----|
| პოლ ეგერილი. ფილ მარტერი. დავით ლომიტაშვილი. ნიკოლოზ მურგულია არქეოპოლისის ტოპოგრაფია. ნოქალაქევის მრავალფენიანი ძეგლის კვლევა | 102 |
| Paul Everill, Phil Marter, David Lomitashvili, Nikoloz Murgulia Mapping of Archaeopolis. Survey of a Multi-Period Site of Nokalakevi | |
| დავით ლომიტაშვილი. ნინო ქებულაძე. ანა თვარაძე. იან ქლოვინი ნოქალაქევი I. ორმხრივპროტომიანი ზოომორფული ფიგურების კულტურა..... | 116 |
| David Lomitashvili, Nino Kebuladze, Ana Tvaradze, Ian Colvin Nokalakevi I. Culture of Double-Protoma Zoomorphic Sculptures | |
| ნიკოლოზ მურგულია ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემა IV-VI საუკუნეებში (კვლევის მეთოდები) | 135 |
| Nikoloz Murgulia The Fortification System of the Lazica (Egrisi) Kingdom in the 4 th -6 th cc. (An Investigation Method) | |
| ირმა ბერძენიშვილი აღმოსავლეთ საქართველოს სანათლავები (IV-X სს.) | 148 |
| Irma Berdzenishvili Baptisteries of Eastern Georgia (4 th -10 th cc.) | |
| დავით ბერიკაშვილი ანტეფიქსები და კრამიტები სამთავისის სამონასტრო კომპლექსიდან | 167 |
| David Berikashvili Antefixes and Roof Tiles from the Samtavisi Monastic Complex | |
| ლუიზა გვრიტიშვილი. თინათინ კერასელიძე ზოომორფულ სახეებიანი მოჭიქული ჭურჭლის შესწავლისათვის | 190 |
| Luiza Gvritishvili, Tinathin Kereselidze For Studying of Zoomorphical Image Glazed Ceramics | |
| მარგალიტა ჩემია ნეკრესის ნაქალაქარის მხატვრული კერამიკის ერთი საინტერესო სახეობის შესახებ | 205 |
| Margalita Chemia On one of the Important Ceramic Samples from Nekresi Settlement | |
| ჯამშერ ჩხეიმიანი მეჩეთი დმანისის ნაქალაქარზე | 214 |
| Jimsher Chkhvimiiani A Mosque from the Medieval Dmanisi | |

არქეოლოგია

დაგით ბერიკაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ. გუდიაშვილის ქ. №1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: d.berikashvili@yahoo.com

ანტეფიქსები და კრამიტები სამთავისის სამონასტრო კომპლექსიდან

სამთავისის სამონასტრო კომპლექსი შეა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლია. იგი მდებარეობს ისტორიულ შიდა ქართლში, მდინარე ლეჩურის მარცხენა ნაპირზე, აერთიანებს საკათედრო ტაძარს, დარბაზულ ეკლესიას, საეპისკოპოსო პალატს, ადრეული შეა საუკუნეების ბაზილიკურ ეკლესიას, სამრეკლო-კარიბჭესა და გალავანს. თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ის არაერთხელ გამხდარა სამეცნიერო კვლევის საგანი. თუმცა, ეს კვლევები, ძირითადად, მთავარ ნაგებობას – ჯვარგუმბათოვან ტაძარს ეხებოდა. სხვა ობიექტები კი ბოლო დრომდე ნაკლებად იყო შესწავლილი.

2004 წელს სამთავისში დაიწყო კომპლექსური სამუშაოები, რაც ითვალისწინებდა ძეგლის ისტორიულ, სახელოვნებათმცოდნეო და არქეოლოგიურ კვლევებს, ანთროპოლოგიურ, პალინოლოგიურ ძიებასა და კონსერვაცია-რესტავრაციას. ექვსი საველე სეზონის შემდეგ კომპლექსის ისტორია ახლებურად წარმოჩნდა. კერძოდ, აღმოჩნდა ბაზილიკური ეკლესია, შესწავლილ იქნა მონასტრის სამურნეო უბანი, ეპისკოპოსის მარანი და მასთან დაკავშირებული ხაროებისა და თონეების რთული სისტემა. გამოვლინდა მონასტრის კერამიკის სახელოსნო და ზეთსახდელი [ბერიკაშვილი 2010: 99].

მონასტრის ტერიტორიაზე ჩატარებულმა გათხრებმა სამი ათასამდე არტეფაქტი გამოავლინა. აქ ძირითადია კერამიკული ნაწარმი, თუმცა, საყურადღებო ლითონის, მინის, ძვლისა და ქვის ნივთებიც¹. აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური მასალის ქრონოლოგია შეესაბამება ძეგლის სტრატიგრაფიულ მონაცემებს. მონასტრის მთელ ფართობზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა დაცულია სამთავისისა და გორის ეპარქიის საცავში.

¹ არქეოლოგიური მასალა დაცულია სამთავისისა და გორის ეპარქიის საცავში. მასალის გარკვეული ნაწილი გამოფენილია ქ. გორის სულიერი განათლებისა და კულტურის ცენტრის მუზეუმის ექსპოზიციაზე. ამჟამად მიმდინარეობს მასალის ინვენტარიზაცია, ხდება მისი გრაფიკული და ფოტოფიქსაცია. სამუშაოების დასრულების შემდეგ სამთავისის არქეოლოგური მასალა გამოიცემა კატალოგის სახით.

ნიღო ხუთი კულტურული ფენა თანმიმდევრობით. უძრავადა განვითარდა და ფენების მნიშვნელოვანი აღრევა აქ არ დასტურდება. საუკუნეების განმავლობაში ფენათწარმომშობი პროცესი სტაბილურად მიმდინარეობდა, რის გამოც ძეგლის ნათელი და სანდო სტრატიგრაფია გააჩნია.

არქეოლოგიური მასალის ქრონოლოგიური დიაპაზონი ვრცელდა და მთიცავს პერიოდს აღრევული შეა საუკუნეებიდან XIX საუკუნემდე კომპლექსის პირველი (ზედა) კულტურული ფენის თარიღი მასალის მიხედვით XVIII საუკუნის მეორე ნახევრითა და XIX საუკუნის განისაზღვრება. მომდევნო, მეორე, ფენა თარიღდება XVII საუკუნითა და XVIII საუკუნის პირველი ნახევრით. მესამე ფენის თარიღი XV-XVI საუკუნეებია. მის ქვეშ განვითარდი კულტურული მდლავრი, მეოთხეჭ ფენა თარიღდება XI-XIV საუკუნეებით. მესუთი ფენა, რომელიც სტრატიგიულად ყველაზე დაბლა მდებარეობს, აღრევული შეა საუკუნეებისაა².

უნდა აღინიშნოს, რომ სამთავისის მონასტერები სამურნეო დანიშნულების სხვადასხვა სათავსოსთან ერთად კურამიკის საკუთარი სახელთხოც აქონდა³. დიდი მოთხოვნა თიხის ჭურჭელზე, მილებზე, თონებზე, ქვევრებისა და თექნის სხვა სახის ნაწარმზე საჭიროებდა ისეთ საწარმოს, რომელიც უზრუნველყოფიდა ამ სახის პროდუქციის სწრაფად დამზადებას. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ კომპლექსის ყველაზე დიდ სათავსოში (სათავსო №5) სწორედ კურამიკის სახელოსნი იყო გამართული, აქ ჩატარებულმა გათხრებმა ჭურასთან ურთად თიხის ჭურჭლის გამოსაწვავად საჭირო ინგენირიულ გამოავლინა. აღმოჩნდა ჰიქურის ზოდები, თიხის სოლები და ლითონის წილები. ქურაში ჩავარდნილი კრამიტები კი იმის დასტურია, რომ გარდა სამურნეო დანიშნულების ჭურჭლისა, აქ სამშენებლო კურამიკასაც ამზადებდნენ.

სამთავისში აღმოჩნდილი კრამიტებისა და ანტეფიქსების საერთო რაოდენობა რამდენიმე ათეულს აღწევს. მაუხედავიდ იმისა, რომ მათი უმრავლესობა ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი, მაინც შესაძლებელია ფორმებისა და ზომების დაღვრა. ცალკე უნდა აღინიშნოს ჯგუფი კრამიტებისა (დაახ. 60 კროული), რომელიც ასომთავრული და ნუსხერი წარწერების შემორჩენილი. მათი შინაარსის გამოქვეყნება მხოლოდ კვლევების დასრულების შემდეგ იქნება შესაძლებელი⁴.

წარწერებითი კრამიტის გარდა სამთავისში წილადად შეღებილი, შეკვებივი, ციხეფრად და ყავისფრად მოჰიქველი კრამიტის 200-მდე ნომერია აღმოჩნდილი. მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი ვრცელია —

² ძეგლის სტრატიგრაფია დაწვრილებითაა განხილული გ. მახარაძის, დ. ბერიაშვილისა და გ. ლომთაძის მიერ შედგენილ 2007-2010 წლების არქეოლოგიური გათხრების სამურნეო ანგარიშში. ანგარიში დაცულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კრონიკებში საბუნებრივში.

³ სტატია „კურამიკის სახელოსნი სამთავისდან“ გამოქვეყნდება მიმდინარე წელს ჭავლოვავას სხვენისადმი შიდგენილ სამურნეო სტატიათა კრებულში.

⁴ სამთავისში აღმოჩნდილ კრამიტების მეტებს იკვლევს სელექციებასთმცოდნების დოქტორი გ. გაგოშიძე.

ადრეული შუა საუკუნეებიდან გვიან შუა საუკუნეებამდე. რაც შეეხება ანტეფიქსებს, ისინი ადრეული შუა საუკუნეებისაა.

შეღებილი კრამიტები მასიურია, დიდი ზომისაა და განეკუთვნება კომპლექსის ქვედა ფენას. ისინი, ძირითადად, ბაზილიკის ინტერიერში ან მის სიახლოებებს ადმოჩდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ბაზილიკა სწორედ ამ სახის კრამიტით იყო დაბურული. ის დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან და საგულდაგულოდაა გამომწვარი. გამოწვის შემდეგ მათი ზედაპირი წითელი საღებავით – წერნაქით შეუღებავთ. ქვედა მხარე და გვერდები კი შეუღებავია.

ბრტყელი კრამიტების სიგანე თავსა და ბოლოში 5 სმ-ით განსხვავებულია. მომდევნო კრამიტის ვიწრო ბოლოში კარგად მორგების მიზნით 5-7 სმ-ის ნაჭდევია გამოყვანილი, ზედაპირზე კი, იშვიათად, მაგრამ მაინც გხვდება სხვადასხვა გამოსახულება – ძირითადად, ამოკაწრული ჯვარი.

წითლად შეღებილი ღარისებური კრამიტიც მასიურია და გამოწვის მაღალი ხარისხით ხასიათდება. განსხვავება კრამიტის თავსა და ბოლოს შორის 10 სმ-ს აღწევს. ვიწრო ბოლოში მათ 2,5-3,0 სმ-ის სიმაღლის ე. წ. ღობე აქვს ამოყვანილი, რითაც ზედა კრამიტი ქვედას მოხერხებულად ერგებოდა.

| შეღებილი წითლად | | | | | | | | |
|-----------------|----------------------|-------------|-----------------|-----------------------|------------------------------|-----------------|--------------------|-------------|
| № | ტიპი | სი- გრძე | სიგანე თავში | სიგანე ბოლო- ში | პეცილი გვერდის სიმაღლე | ქვეცი- სისქე | „ღობის“ სიმაღლე | |
| 1 | ბრტყე- ლი | 50 სმ | 35 სმ | 30 სმ | 5 სმ | 2,2 სმ | – | ტაბ. I. 1 |
| 2 | ბრტყე- ლი | 50 სმ | 34 სმ | 30 სმ | 5 სმ | 2 სმ | – | ტაბ. I. 3 |
| 3 | ღა- რისე- ბური | 50 სმ | 25 სმ | 15 სმ | – | 2 სმ | 2,5 სმ | ტაბ. III. 1 |
| 4 | ღა- რისე- ბური | 50 სმ | 25 სმ | 15 სმ | – | 2 სმ | 3 სმ | ტაბ. II. 2 |

შეუღებავი კრამიტი სამთავისში ყველაზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა. განირჩევა ბრტყელ და ღარისებურ ნიმუშთა სხვადასხვა ვარიაცია. ნედლეულად გამოყენებულია საშუალოდ განლექილი, კარგად მოზელილი თიხა. ღაყალიბების შემდეგ კი ისინი ხარისხიანადაა გამომწვარი. კრამიტთა ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელია ასომთავრული და ნუსხური ასო-ნიშნები. ისინი, როგორც აღინიშნა, კვლევის

დასრულების შემდეგ გამოქვეყნდება. შეუღებავი ბრტყელი კრამიტის ზომა თითქმის უახლოვდება წითლად შეღებილი კრამიტისას, თუმცა, მასთან შედარებით რამდენადმე მცირეა. ასეთივეა სადა, დარისებური კრამიტიც. მათვის დამახასიათებელია 1,5-2,0 სმ სიმაღლის ღობე, რომელიც ხან უშუალოდ ზურგზეა დაძერწილი, ზოგჯერ კი ამოყვანილია კრამიტის სხეულიდან. ხშირად დარისებურ კრამიტს მთელ სიგრძეზე გასდევს რელიეფური ზოლი, რომელიც ბოლოვდება პორიზონტალურად გადაძერწილი ასეთივე რელიეფური ხაზით. ყურადღებას იქცევს ერთი ეგზემპლარი, რომლის მსაგავსიც სამთავისში სხვა არ აღმოჩენილა. მისი სიგანე ბოლოში – 30 სმ-ს, თავში კი 35-40 სმ-ს აღწევს. როგორც ჩანს, ეს ე.წ. კურტნის კრამიტი სახურავის კებზე თავსდებოდა.

შეუღებავი ბრტყელი და დარისებური კრამიტი კომპლექსის მთელ ფართობზე ვრცელდებოდა. ის აღმოჩნდა სამთავისის ტაძრის სიახლოეს, სამეურნეო უბანსა და ეპისკოპოსის პალატის მიმდებარე ტერიტორიაზე. ზომებიდან, ხარისხიდან და წარწერებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ამგვარი კრამიტი სამთავისის ჯვარგუმბათოვანი ტაძრის გადახურვისათვის იყო განკუთვნილი.

| შეუღებავი სადა | | | | | | | | |
|----------------|------------|--------|--------------|---------------|-------------------------|-------------|----------------|------------|
| № | ტიპი | სიგრძე | სიგანე თავში | სიგანე ბოლოში | აპეცილი გვერდის სიმაღლე | კუცის სისქე | ლობის სი-მაღლე | |
| 1 | ბრტყელი | 45 სმ | 35 სმ | 30 სმ | 5 სმ | 2 სმ | – | ტაბ. II.1 |
| 2 | ბრტყელი | 50 სმ | 35 სმ | 30 სმ | 5 სმ | 2 სმ | – | ტაბ. III.2 |
| 3 | ბრტყელი | 50 სმ | 35 სმ | 30 სმ | 5 სმ | 2 სმ | – | ტაბ. III.3 |
| 4 | დარისებური | 50 სმ | 25 სმ | 20 სმ | – | 2 სმ | 2 სმ | ტაბ. I.2 |
| 5 | დარისებური | 50 სმ | 25 სმ | 20 სმ | – | 2 სმ | 1.5 სმ | ტაბ. I.4 |
| 6 | დარისებური | 56 სმ | 25 სმ | 20 სმ | – | 1.8 სმ | 2 სმ | ტაბ. II.3 |
| 7 | დარისებური | – | 35-40 სმ? | 30 სმ | – | 2.5 სმ | 1.5 სმ | ტაბ. III.4 |

ცისფრად მოჭიქული კრამიტები, რომლებიც, ცალკე ჯგუფს შეადგენს, შედარებით მცირე ზომისაა. მათი მთავარი განმასხვავებელია ლაუვარდისფერი, კამპამა ჭიქური, რაც მათ ძალზე ლამაზსა და მიმზიდველს ხდის. უნდა აღინიშნოს, რომ მოჭიქულია მხოლოდ კრამიტის ზედაპირი, გვერდები და ძირი კი მოუჭიქავია. განირჩევა ბრტყელი და დარისებური ნიმუშები. ისინი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, სიგრძე 33-35 სმ-ს აღწევს. ბრტყელი კრამიტის სიგანე თავში 23-25 სმ-ია, ბოლოში კი - 20 სმ. დარისებური კრამიტი სადაა, გლუვი ზედაპირით და არ აქვთ ე.წ. ღობე.

ამგვარი კრამიტები სამთავისში მხოლოდ ეპისკოპოსის პალატთან აღმოჩნდა. თავად პალატი ბანური გადახურვის მქონე ნაგებობა იყო და მის სახურავზე კრამიტი დაგებული არ ყოფილა, მაშინ, როდესაც, მის სამხრეთით მდებარე მარანს ცალ მხარეს დაფერდებული სახურავი ჰქონია. ვფიქრობთ, რომ ცისფრად მოჭიქული კრამიტით სწორედ მარანი იყო გადახურული.

| ცისფრად მოჭიქული | | | | | | | | |
|------------------|------------|---------|--------------|---------------|-------------------------|-------------|---------------|------------|
| Nº | ტიპი | სი-გრძე | სიგანე თავში | სიგანე ბოლოში | აკეცილი გვერდის სიმაღლე | კეცის სისქე | ღობის სიმაღლე | |
| 1 | ბრტყელი | 35 სმ | 25 სმ | 20 სმ | 3 სმ. | 2 სმ | - | ტაბ. IV. 1 |
| 2 | ბრტყელი | 33 სმ | 23 სმ | 20 სმ | 3 სმ | 2 სმ | - | ტაბ. IV. 2 |
| 3 | დარისებური | 33 სმ | 20 სმ | 17 სმ | - | 2 სმ | - | ტაბ. IV. 3 |
| 4 | დარისებური | 33 სმ | 20 სმ | 17 სმ | - | 2 სმ | - | ტაბ. IV. 4 |

გამორჩეულია შედარებით ცოტა, ყავისფრად მოჭიქული კრამიტი, რომელსაც ახასიათებს გამოწვის მაღალი ხარისხი, ზომების სხვადასხვაობა და მუქი ყავისფერი ჭიქური. ამ ჯგუფში შედის განსაკუთრებული ფორმის ერთი კრამიტი, რომლის ზურგიც ტალღოვანია და სამ ნაწილადაა დაყოფილი. მისი ამგვარი, სპეციფიკური ფორმა გუმბათზე კრამიტების წრიულად განშლის საშუალებას იძლეოდა. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ გუმბათის მკვეთრი დაფერდება აუცილებელს ხდიდა ლითონის სარჭებით კრამიტების დამატებით დამაგრებას. ამით აიხსნება ისიც, რომ ამ კრამიტებს თითქმის ყოველთვის სარჭისათვის განკუთვნი-

და ნახერვები აქებ. კურადღლას იქცევს ყველაზე მცირე ზომის კოდა
ერთი კრამიტი, რომელის ხილიჭევ მხრილი 15 სმ-ს აღწევს. ისიც, როგორიც
ნანს, განსაკუთრებულ აღმილზე, კრძოლ კი, გუმბათის წევრში იღებოდა.

ყველის კურადღლი ყველა კრამიტი მთავარი ტაძრის სახლოებებს
აღმოჩნდა. ვეიქრობთ, რომ XVI საუკუნეებდა, როდესაც სამთავისში
მნიშვნელოვანი აღმშენებლობითი სამუშაოები ჩატარდა, ტაძრის გუმ-
ბათი სწორედ ამგვარი, ყველის კურადღლი მთკიქელი, კრამიტით უნდა ყოფი-
ლიყო დაბურული.

| კურადღლი მთკიქელი | | | | | | | | |
|-------------------|--|--------|-----------------|-------------------|--------------------------|--------------------|----------------------|---------------|
| № | ტიპი | სიგრძე | სიგანე თავში | სიგანე ბელვაში | აქციელი გაერთიანებული | მაცხოველის ხილი | დრიბის ხილ დღე | |
| 1 | ბრტყელი | 30 სმ | 20 სმ | 15 სმ | 3 სმ. | 2 სმ | — | ტაბ. V. 1 |
| 2 | ბრტყელი | 32 სმ | 23 სმ | 18 სმ | 5 სმ | 25 სმ | — | ტაბ. V. 2 |
| 3 | ბრტყელი (ნახერ ტაბ.) | 35 სმ | 18 სმ | 14 სმ | 3 სმ | 2 სმ | — | ტაბ. V. 3 |
| 4 | ბრტყელი | 15 სმ | 8 სმ | 5 სმ | 2.5 სმ | 1.5 სმ | — | ტაბ. V. 6 |
| 5 | დარბაზ ბური (ნახერ ტაბ.) | 38 სმ | 10 სმ | 5 სმ | — | 2 სმ | 2 სმ | ტაბ. V. 4 |
| 6. | დარბაზ ბური (ნახერტებით) | 38 სმ | 11 სმ | 6 სმ | — | 2 სმ | 2 სმ | ტაბ. V. 5 |
| 7 | დარბაზ ბური ტაბლი- კინი (ნახერტებით) | ? | 35 სმ | ? | — | 3 სმ | — | ტაბ. II. 4 |

სამთავისში კრამიტებთან ერთად აღმოჩნდია გადახურვის ისეთი
მნიშვნელოვანი ელემენტიც, როგორიცაა ანტეფიქსი (ლათ. Antefixum,
Antefi-go – (წინიდან ვამაგრებ). სამთავისის ანტეფიქსები ხასიათდება
არქიტექტონიკური ნიშნებით, ლამაზი ფორმებით, მასიურობითა და რელიეფური
გამოსახულებებით. კველა მათგანი წერნაქით წითლადა შედებილი
და მათი ფერი ანალოგიურია ზემოთ განხილული შედებილი კრამი-
ტების ფერისა. მოპოვებული 15 კროკეტებიდან 14-ს შებლზე რელიეფურ-
ად გამოსახული „აკვაკებული ჯვარი“ აქებ, მხოლოდ ერთი ნიმუშია
ხადა, გამოსახულების გარეშე „აკვაკებული ჯვრის“ სიმბოლიკასა და
მის მნიშვნელობას ქამოთ განვიხილავთ. აქ კი დავსიმუნთ მხელოდ

იმას, რომ ყველა ანტეფიქსი სამთავისის ბაზილიკის გათხრების დროს იატაკის დონეზეა მოპოვებული. ეჭვგარეშეა, რომ ეს ანტეფიქსები წითლად შეღებილ კრამიტთან ერთად სწორედ ბაზილიკის გადახურვისას გამოიყენეს. ცალკე უნდა აღინიშნოს განსხვავებული ფორმისა და გამოსახულების მქონე კიდევ ერთი ანტეფიქსი, რომელსაც შუბლზე კონცენტრული წრეები, დაბეჭდილი სამკუთხედებით გამოყვანილი ჯვარი და ნაჭდევები აზის. მსგავსება მხოლოდ ისაა, რომ ეს ნიმუშიც სხვა დანარჩენებივით წითლადაა შეღებილი.

| ანტეფიქსები | | | | | | | |
|-------------|--------------------|-------------------|------------------|---------|---|----------------|-------------------|
| Nº | შეფერილობა | შუბლის სიმაღლე | შუბლის სიგრძე | სიგრძე | გამოსა- ლულება | პეცის სისქე | |
| 1 | წითლად შეღებილი | 14 სმ | 16 სმ | ? | „აყვავე- ბული ჯვარი“ | 2 სმ | ტ ა ბ . VI. 1 |
| 2 | წითლად შეღებილი | 14 სმ | 15 სმ | 25 სმ ? | „აყვავე- ბული ჯვარი“ | 2 სმ | ტ ა ბ . VI. 2 |
| 3 | წითლად შეღებილი | 14 სმ | 15 სმ | ? | „აყვავე- ბული ჯვარი“ | 2 სმ | ტ ა ბ . VI. 3 |
| 4 | წითლად შეღებილი | 14 სმ | 15 სმ | ? | კონცე ნტრული წრეები, ნაჭდევი სამკუთხე დები | 2 სმ | ტ ა ბ . IX. 2 |
| 5 | წითლად შეღებილი | 12 სმ | 14 სმ | ? | გამოსა- ხლების გარეშე | 2 სმ | ტ ა ბ . VII. 7 |

ადრეული შუა საუკუნეების ქართულ საკულტო ნაგებობათა გადახურვისას ანტეფიქსების გამოყენება უცხო არ ყოფილა. რელიეფურჯვრიანი ანტეფიქსები ცნობილია მცხეთიდან, რუსთავიდან, ურბნისიდან, გურჯაანიდან, ვაჩნაძიანიდან, აკურადან და სხვ. სოფ. აღაიანშიც, თხოთის მთაზე, მდებარე წმინდა ნინოს ეკლესიის გათხრების დროს წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვრის რელიეფურ გამოსახულებიანი ანტეფიქსების შესანიშნავი ნიმუშები აღმოჩნდა⁵. ხშირად ანტეფიქსებზე

⁵ გ. მახარაძე, დ. ბერიკაშვილი, გ. ლომთაძე, და ზ. მახარაძე – თხოთის მთაზე მდებარე წმინდა ნინოს ეკლესიის არქეოლოგიური გათხრების სამეცნიერო ანგარიში. 2011.

ცხოველთა სტილიზებულ გამოსახულებებს ვხვდებით. ცხოველ-ფრინ-ველთა გამოსახულებანი ანტეფიქსებზე მათი არქაულობის ნიშანია. სოფ. ქვაცხელებში (ურბნისი) აღმოჩენილი ერთ-ერთი ანტეფიქსის შუ-ბლზე, წრიულ ჩარჩოში, მოთავსებული სტილიზებული ირმის ფიგურაა, რომელსაც ფეხებს შორის და ზურგზე თითო პატარა ცხოველი უზის [ჯავახიშვილი 1962: 3]. ეს ანტეფიქსი დაბალი რელიეფური ტვიფრი-თა გამოყვანილი და მისი კომპოზიცია ძალზე ემსგავსება გვიანან-ტიკური ხანის ცხოველთა გამოსახულებებიან ბრინჯაოს ბალთებს. ურბნისიდან ცნობილია კიდევ სამი ანტეფიქსი, რომლებზეც ცხოვე-ლის გამოსახულებასთან ერთად რელიეფური ჯვარიც ჩნდება. ერთ-ერთ ანტეფიქსზე პროფილით გამოსახულია ირემი რომელსაც თითქოს ვედრების ნიშნად მარჯვენა ფეხი ოდნავ აქვს აწეული და თავადაც ჯვრისაკენ არის მიმართული [კალანდაძე 1959: 15]. ასევეა ცხვრის პროტომით შემქული კიდევ ორი ანტეფიქსი, რომლებზეც ცხვრის წინ „აყვავებული“ ჯვარია გამოსახული [ზაქარაია 1965: 67]. როგორც ჩანს, ადრეულ ეტაპზე ანტეფიქსებისათვის დამახასიათებელი იყო ცხოველ-თა გამოსახულებები, შემდეგ კი, ქრისტიანობის გაძლიერებასთან ერ-თად, ცხოველთა გამოსახულებები კარგავს თავის აქტუალურობას და მათს ადგილს იკავებს „ცხოველმოქმედი ჯვარი“.

სამთავისში აღმოჩენილ არც ერთ ანტეფიქსზე ცხოველთა გამო-სახულება არ დასტურდება. მათთვის დამახასიათებელია „აყვავებული ჯვარი“, რაც ჯვრის ტრანსფორმაციის შედეგად მიღებული გამოსახუ-ლება უნდა იყოს. ჯვარი, რომელიც ადრეულ ეტაპზე მარტივია, სადაც გამოიხატებოდა, გარკვეული დროის შემდეგ განიცდის სტილიზაციას და იმატებს რტოებს, განტოტვილ დეროებსა და ზოგჯერ მცენარეული ნაყოფის გამოსახულებაც კი. სვეტიცხოვლის ეზოში, ტაძრის დასავლე-თით, 5 მ-ის მანძილზე აღმოჩენილ ანტეფიქსს, რომელიც IV საუკუნით თარიღდება, შუბლზე კვარცხლბეკზე აღმართული „სიცოცხლის ხე“ რელიეფურად აქვს გამოხატული [ყიფიანი 2001: 41]. ხის დაშვებული რტოები ბროჭეულებითა აღჭურვილი, მისი წვერი კი სამადაა გან-ტოტვილი (ტაბ.VIII). სამად განტოტვილი წვერით, დაბლა დახრილი რტოებითა და კვარცხლბეკით სამთავისის ანტეფიქსები ყველაზე მე-ტად სწორედ სვეტიცხოვლის ამ ანტეფიქსს ემსგავსება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სამთავისის ნიმუშებზე დაბლა დახრილი რტოები ბროჭეუ-ლების გარეშეა და ჯვრის დეროსთან თითქმის წრეს კრავს. ასევე გამარტივებულია ჯვარიც და მას განტოტვილი დეროს ქვეშ მკლავი აღარ აქვს. ეს დეტალები და ამგვარად „შემსუბუქებული“ გამოსახუ-ლება გვაფიქრებინებს, რომ სამთავისის ანტეფიქსები სვეტიცხოვლის ნიმუშთან შედარებით ახალია და მომდევნო საუკუნეებს განეკუთვნება.

ანტეფიქსების თანადროულია სამთავისის წითლად შედებილი კრა-მიტები, რომლებიც უახლოვდება ურბნისის ($45 \times 25 \times 20,5$ სმ. VII საუკუნე), ქვაცხელების ($48 \times 35 \times 30$ სმ. VIII ს.), თბილისში, ერეკლე II-ის მოედანზე აღმოჩენილსა ($37 \times 25,5 \times 21$ სმ. VII-VIII სს.) და გურჯაანის ყველაწმინ-დის ($40 \times 25 \times 20$ სმ) კრამიტებს, ასევე მასალებს დასავლეთ საქართვე-ლოს ადრეული შუა საუკუნეების ცნობილი ძეგლებიდან, როგორები-ცაა ვაშნარი [ლეკვინადзе 164.], ბიჭვინთა [რამიშვილი 1963: 70], ყულევი

[ხოშტარია 1946: 81], ნოქალაქევი [ლომიტაშვილი 2003: 190] და სხვ.

როგორც ადრეული შუა საუკუნეების ხანის ძეგლებზე ჩატარებული გათხრები გვიჩვენებს, ამ პერიოდის რიგითი მოსახლეობის საცხოვრებელი ნაგებობანი, ძირითადად, რიყის ქვითა და ალიზით არის ნაგები, სახურავი კი ბანურია. ცხადია, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი-სათვის სახლების ასაგებად რიყის ქვისა და ალიზის შოვნა-დამზადება უფრო ხელმისაწვდომი იყო, ვიდრე აგურისა და კრამიტისა. ისინი, როგორც ხელოსნობის პროდუქტი, ბევრად ძვირი სამშენებლო მასალას იყო [ჯლამაია 1980: 18]. ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში კრამიტი და, მით უმეტეს, ანტეფიქსი განსაკუთრებული ნაგებობების გადასახურავად გამოიყენებოდა. კრამიტით იყო გადახურული იბერიის წარჩინებულთა სახლებიც, რიგით მოქალაქეებს კი ასეთ მასალაზე, ცხადია, ხელი არ მიუწვდებოდათ [აფაქიძე 1963: 70]. მნიშვნელოვან ციხესიმაგრეთა კოშკები, ისევე, როგორც თითქმის ყველა საკულტო ნაგებობა, ყოველთვის კრამიტით ყოფილა გადახურული, რაც უზრუნველყოფდა კარგ დაცულობასა და, ამავე დროს, მათ ლამაზსა და მიმზიდველს ხდიდა [Чубинашвили 1959: 140].

ჩვენი აზრით, სამთავისში აღმოჩენილი წითლად შედებილი კრამიტი და ანტეფიქსები სამთავისის ბაზილიკის გადახურვისას გამოიყენებოდა და აქ აღმოჩენილ დანარჩენ კრამიტთან შედარებით ყველაზე ადრეულია.

უფრო გვიანდელია დიდი ზომის, ბრტყელი და ლარისებური კრამიტი, რომელიც კომპლექსის მთელ ტერიტორიაზეა მოპოვებული. ერთ-ერთი ბრტყელ კრამიტს (ტაბ. II, 1) ზემოდან რელიეფური ჯვარი აქვს გამოსახული. ჯვრის გამოხატვა კრამიტზე ხაზს უსვამდა მის განსაკუთრებულ დანიშნულებას, კერძოდ იმას, რომ იგი ეკლესიის გადახურვისთვის იყო განკუთვნილი. რელიეფურჯვრიანი კრამიტი ცნობილია განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლებიდან და გამოიყენებულია XI–XII საუკუნეების ტაძართა სახურავებში (ფიტარეთი, მანგლისი, კუმურდო, თიღვა). უნდა აღინიშნოს, რომ გადახურვაში ზოგჯერ მხოლოდ ერთი სახის კრამიტი გამოიყენებოდა და იგი სახურავზე წაღმა-უკუღმა ლაგდებოდა. მსგავსი გადახურვა ცნობილია დმანისიდან (XIII ს.), სადაც აბანოს გადასახურავად მხოლოდ ბრტყელი კრამიტი იყო ნახმარი [მუსხელიშვილი 1938: 352]. მცხეთაში აღმოჩენილი ასეთივე კრამიტის ნიმუში მოჭიქულია მხოლოდ ზურგიდან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ის სხვა კრამიტს ზემოდან პირქვე ეფარა. სამთავისში ბრტყელი და დარისებური კრამიტის დიდი რაოდენობით აღმოჩენა გვაფიქრებინებს, რომ აქ ეკლესია ამ ორი ტიპის კრამიტით იყო გადახურული. თუმცა, ამგვარად დაბურული იყო მხოლოდ ტაძრის მკლავები, გუმბათზე კი ყავისფრად მოჭიქული კრამიტი ელაგა.

გუმბათის სახურავად უნდა გამოეყენებინათ ყავისფრად მოჭიქული კრამიტი, რომელსაც დარისებური, სამ ნაწილად პროფილირებული ტალღისებური ფორმა აქვს (ტაბ. II, 4). იგი ბრტყელ კრამიტს ზემოდან ეფარა და თავისი განსაკუთრებული ფორმით მისი წრიულად განშლის საშუალებას იძლეოდა. გუმბათის მკვეთრი დაფერდების გამო აქ მდებარე კრამიტს საგანგებო ნახვრეტი ჰქონდა. ასეთივე ნახვრეტი ჰქონდა ზემოთ აღნიშნულ გადამყვან-პროფილირებულ კრამიტსაც,

რომელიც ლითონის სარჭით საიმედოდ მაგრდებოდა სახურავზე. მუქ ყავისფრად იყო მოჭიქული გუმბათის ბრტყელი და დარისებური კრა-მიტებიც. ისინი ფორმითა და ზომით ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. ჩვენი აზრით, ეს განსხვავება განპირობებული იყო გუმბათის ფორმით: კერძოდ, გუმბათის წვერში იდებოდა გაცილებით მცირე ზომის კრამიტი, ვიდრე მის ძირში. ვფიქრობთ, რომ ყველაზე მცირე ზომისა და ყავისფრად მოჭიქული ერთ-ერთი კრამიტი (ტაბ. V, 6) სწორედ გუმბათის წვერისათვის იყო განსაზღვრული.

მოჭიქული კრამიტით ეკლესია-მონასტრების გადახურვა დამახა-სიათებელი ყოფილა განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს ათვის. ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, იშხნის ტაძრის გუმბათი დაფა-რული ყოფილა ცისფრად და წითლად მოჭიქული კრამიტით, ხოლო ოშეის გუმბათის კრამიტი ყავისფრად და მწვანედ ყოფილა მოჭიქული. ასეთივე მოჭიქული კრამიტი ეხურა ხახულის მთავარ, გუმბათიან ეკლე-სიასაც [Такаишвили 1962: 23, 53, 69]. მოჭიქული კრამიტითვე ყოფილა და-ბურული თბილისის ეწ. ლურჯი მონასტერი, ტიმოთესუბანი, ყინვისი, წედრულაშენი, გუდარეხი [ზაქარაია 1958: 90], კვეტერის სასახლეცა და ეკლესიაც [მინდორაშვილი 2010: 26]. თუმცა, როგორც ჩანს, ამ ეკლესიე-ბის მხოლოდ გუმბათი იფარებოდა მოჭიქული კრამიტით, მკლავები და ის ნაწილები კი, რომლებიც ქვემოდან ნაკლებად მოჩანდა მოუჭიქავი კრამიტით ყოფილა გადახურული. ასეთივე უნდა ყოფილიყო სამთავი-სის ჯვარგუმბათოვანი ტაძრის გადახურვაც, მის გუმბათზე ყავისფრად მოჭიქული, მკლავებზე კი მოუჭიქავი ბრტყელი და დარისებური კრა-მიტი უნდა ყოფილიყო დალაგებული.

გვიან შუა საუკუნეებს განეკუთვნება სამთავისის ეპისკოპოსის მარნის იატაკზე გამოვლენილი ლაჟვარდისფრად მოჭიქული კრა-მიტი. თვითონ პალატი ბანური სახურავის ქვენე ნაგებობა იყო და მის გადახურვაში კრამიტი გამოყენებული არ ყოფილა. თუმცა, მარანს, რომელიც მის სამხრეთით მდებარეობდა, ცალ მხარეს დაფერდებული, ცისფრად მოჭიქული კრამიტით დახურული სახურავი ჰქონდა. აღსა-ნიშნავია, რომ სამთავისის სამურნეო უბანზე გამოვლენილ ქურაში აღმოჩნდა მოჭიქული კრამიტის ნიმუშები, რომელთაც მაღალი ტემპე-რატურის გამო ჭიქური დამწვარი და ავარდნილი ჰქონდა. სამთავი-სის ქურა კომპლექსის მესამე ფენას მიეკუთვნება და XVI საუკუნით თარიღდება [ბერიკაშვილი 2011]. აქ აღმოჩნდილი მოჭიქული კრამიტის ფრაგმენტები იმაზე მიუთითებს, რომ ამ ხანებში კრამიტი და სხვა სახის სამშენებლო კერამიკა სამთავისში ადგილზევე მზადდებოდა, თუმცა, ცხადია, გარკვეული სახის თიხის პროდუქცია მონასტერში სხვა რაიონებიდანაც შემოჰქონდათ.

საქართველოში ლაჟვარდისფერსა და ცისფერ ჭიქურს ინტენსიუ-რად გვიანი შუა საუკუნეებიდან იყენებენ. თუ აქამდე წამყვანი მწვანე, ყვითელი და სოსანისფერი იყო, ამიერიდან ლურჯიც მნიშვნელოვანი ხდება. სამთავისის მეოთხე ფენაში, რომელიც განვითარებული შუა საუკუნეებისა, ლურჯად მოჭიქული თიხის ნაწარმი, ფაქტობრივად, არ არის. ლურჯად მოჭიქული კრამიტი თავს სამთავისში მხოლოდ პირ-ველსა და მეორე ფენაში იჩენს, რომლებიც XVIII-XIX საუკუნეებით თა-

რიღდება. ეპისკოპოსის მარანი, სადაც აღნიშნული, კრამიტი აღმოჩნდა, მეორე ფენას განეკუთვნება. ვფიქრობთ, ლაქვარდისფრად მოჭიქული ბრტყელი და დარისებური კრამიტი სამთავისის სამონასტრო კომპლექსში მოპოვებულ ამ ტიპის ნაწარმში ყველაზე გვიანდელია და XVIII საუკუნით თარიღდება.

ARCHAEOLOGY

DAVID BERIKASHVILI

The Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Art
№ 1 L. Gudiashvili St.0105 Tbilisi, Georgia
E-mail: d.berikashvili@yahoo.com

ANTEFIXES AND ROOF TILES FROM THE SAMTAVISI MONASTIC COMPLEX

Summary

Archaeological excavations carried out in Samtavisi enriched the history of the monastic complex. An unknown basilica type church was discovered in the southern part of the complex. Agricultural purpose buildings, an oil mill, a ceramic workshop," marani" (wine storing room) and bakeries have been studied in the eastern part of the monastery. At the same time a bishop's palace of the late Middle Ages and its infrastructure were prepared for restoration.

Archaeological excavations established the following sequence of the cultural layers on the site:

Layer I starts from the surface of the ground and dates back to the second half of the 18th and 19th centuries.

Layer II dates back to the 17th and the first half of the 18th century.

Layer III dates back to the 15th-16th centuries.

Layer IV (the thickest one) belongs to the developed Middle Ages and dates back to the 11th-14th centuries.

Layer V, which is situated under the fourth layer, belongs to the early Middle Ages and contains the material of this period.

Archaeological material of Samtavisi site is very various and significant. It is represented by pottery, metal tools, stone hand-mills, bones and glass. The chronological range of these artifacts is very wide. It starts from the early Middle Ages till the 19th century. It is remarkable that besides daily artifacts, building material, roof tiles, antefixes, bricks and ceramic tubes were discovered on this site. Significant researches revealed that the tiles from Samtavisi belong to the different chronological periods and they were used as a roof for different buildings united in the complex.

The oldest are the tiles which are characterized with big sizes and are painted in red. They have signs of antiquity and they are close to the tiles of the late antique period. To the same period belong antefixes with a "blooming cross" on the surface. These antefixes with roof tiles were meditated on the floor of the Samtavisi basilica, that is why they are considered to be a part of tiled roof of the church.

Another group of roof tiles unites the samples which are characterized with big sizes and refined shapes. These tiles find their parallels on the sites of the developed Middle Ages and are made of very high quality clay and have Georgian Asomtavruli inscriptions on the surface. Some of these tiles are glazed in dark brown and have different sizes. We think that special glazed and particularly small sized tiles belonged to the dome of the Samtavisi church.

To the latest period belong the tiles which are glazed in blue and were found on the floor of "marani" nearby the bishop's palace. It seems, that "marani" was covered with blue blazed roof tiles, as "marani" dates back to the 18th century, the tiles are considered to be of the same period of time.

ილუსტრაციების აღწერილობა

ტაბ. I

სურ. 1-3. წითლად შედებილი კრამიტები.

სურ. 2, 4. სადა, დარისებური კრამიტები.

ტაბ. II

სურ. 1, 3. სადა, შეუღებავი კრამიტები.

სურ. 2. წითლად შედებილი კრამიტი.

სურ. 4. ყავისფრად მოჭიქული ტალღისებურზედაპირიანი კრამიტი.

ტაბ. III

სურ. 1. წითლად შედებილი კრამიტი.

სურ. 2-4. სადა, შეუღებავი კრამიტები.

ტაბ. IV

სურ. 1-4. ლაუვარდისფრად მოჭიქული, ბრტყელი და დარისებური კრამიტები.

ტაბ. V

სურ. 1-6. ყავისფრად მოჭიქული კრამიტები.

ტაბ. VI

სურ. 1-3. წითლად შედებილი ანტეფიქსები.

ტაბ. VII

სურ. 1-7. ანტეფიქსის ფრაგმენტები სამთავისიდან.

ტაბ. VIII

ანტეფიქსი სვეტიცხოვლის ეზოდან.

გაბ. IX

სურ. 1-2. ანტეფიქსები სამთავისიდან.

გაბ. X

კრამიტებისა და ანტეფიქსების განლაგების ნიმუში.

LIST OF ILLUSTRATIONS

Tab. I

Fig. 1-3. Red painted tiles.

Fig. 2-4. Simple tube type tiles.

Tab. II

Fig. 1, 3. Simple non-painted tiles.

Fig. 2. Red painted tile.

Fig. 4. Brown glazed tile with a wavy surface.

Tab. III

Fig. 1. Red painted tile.

Fig. 2-4. Simple non-painted tiles.

Tab. IV

Fig. 1-4. Blue glazed flat and tube type tiles.

Tab. V

Fig. 1-6. Brown glazed tiles.

Tab. VI

Fig. 1-3. Antefixes painted in red.

Tab. VII

Fig. 1-7. Fragments of antefix from Samtavisi.

Tab. VIII. A specimen of antefix from Svetitskhoveli.

Tab. IX

Fig. 1-2. Antefixes from Samtavisi.

Tab. X

A specimen of tiled roof with tiles and antefixes.

ბიბლიოგრაფია

აფაქიძე ა. 1963. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში I. თბ. აფაქიძე ა. 1959. სამშენებლო კერამიკის წარმოების საკითხისათვის ანტიკური ხანის ქართლის სამეფოში. ისტორიის ინსტიტუტის შრომები IV. ნაკ. II. გვ. 106, 117, 127. თბილისი (რედ. ს. ყაუხეჩიშვილი).

ბერიქაშვილი დ. 2010: „სამთავისის მონასტრის ზეთსახლელი“. საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ჯურნალი V. გვ. 99-109. თბილისი (რედ. გ. მახარაძე).

ბერიქაშვილი დ. 2011: კერამიკული სახელოსნო სამთავისიდან. ვ. სილოგავას ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიათა კრებული. გვ. 54. თბილისი (რედ. გ. კალანდია, ლ. კვინიკაძე).

ზაქარაია პ. 1965: ნაქალაქარი ურბნისის ხუროთმოძღვრება. თბილისი.

ზაქარაია პ. 1958: შუასაუკუნეების ქართული გუმბათოვანი არქიტექტურის ზოგიერთი საკითხისათვის. სსმმ, XII-B. გვ. 87. თბილისი (რედ. დ. მაჩაბელი).

კალანდაძე ა. 1959: მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1958 წ. სეზონის ძირითადი შედეგებისათვის. ისტ. ინსტიტუტის საველე-არქეოლოგიური სესიის თეზისები.

ლომიტაშვილი დ. 2003: ცენტრალური კოლექტი ძ.წ.VIII-ახ.წ.VI სს. ციხეგოჯი-არქეოლოგიურის-ნოქალაქევი. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

მინდორაშვილი დ. 2010: კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა. თბილისი.

მუსხელიშვილი დ. 1938: დმანისი. ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა.

რამიშვილი ა. 1963: არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ნაკვ. III. გვ. 70-71. თბილისი

ყიფიანი გ. 2001: სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი. 2000 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები.

ხოშტარია ნ. 1946: სოფ. ყულევის არქეოლოგიური გამოკვლევა. მუც. აკად. მოამბე №1-2. თბ. გვ. 81. თბილისი.


ჭავახიშვილი ალ: ღლონტი დ. 1962: ურბნისი I.


ჭამაია ჯ. 1980: სამშენებლო კერამიკა ფერდალური ხანის საქართველოში. თბილისი.


ლეკვინაძე В.А. Материалы по монументальному строительству в Лазике. სსმმ, გ. XXII-13, გვ. 164. თბილისი (რედ. ა. აფაქიძე).


თაკაშვილი Е.С. 1962: Экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии. Тбилиси.


Чубинашвили Г.Н. 1959: Архитектура Кахетии. Тбилиси.






















ঁৰ. IX Tab.



ঁৰ. X Tab.



ISSN 1512-1895



9 771512 189002